საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - გენადი მაკარიძის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის N1/138 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის N1/214 განკარგულების საფუძველზე სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა გენადი მაკარიძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში რეგისტრირებულ კანდიდატთა, მათ შორის, გენადი მაკარიძის სრულფასოვანი შეფასების მიზნით საფუძვლიანად შევისწავლე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, გენადი მაკარიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომები, აგრეთვე, გავითვალისწინე კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი კომპეტენცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები.

ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძვლიანი ანალიზისა და შეჯერების შედეგად „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე გენადი მაკარიძის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

იმის გათვალისწინებით, რომ გენადი მაკარიძე წარმოადგენს მოქმედ მოსამართლეს, მისი კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებების, მახასიათებლებისა და რეპუტაციის გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის კომენტენტურობის კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 36^3 მუხლით დადგენილი მახასიათებლების

გათვალისწინებით, კერძოდ, *სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.* გენადი მაკარიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების შესწავლის, მოძიებული ინფორმაციის ანალიზისა და გასაუბრების პროცესში მის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და თვისებების გათვალისწინებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ კომპონენტში ქულათა მინიჭების შედეგად, გენადი მაკარიძის შეფასებამ შეადგინა 93 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებულ ქულათა საერთო რაოდენობის 93%-ს შეადგენს.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2021 წლის 23 ივლისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე გენადი მაკარიძის წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება, ქცევა, რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, ის სათანადო პასუხისმგებლობით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი 23.07.2021 წ.